# დიდი ზეიმი დაიწყო!

ქართველ ხალხს დიდი ეროვნული დღესასწაული აქვს — დადგა გენიალური პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავის საიუბილეო დღეები.

სწორედ ამ საზეიმო სულისკვეთებით იყო გამსჭვალული დიდი საიუბილეო ღონისძიება — სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი, რომელიც გუშინ გაიხსნა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

სცენა საზეიმოდ არის მორთული. მის უკანა მხარეს ამშვენებს ნიკოლოზ ბარათაშვილის შესანიშნავი პორტრეტი, რომელიც შექმნა საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა ლ. გუდიაშვილმა, და საიუბილეო თარიღი „150".

დღის 11 საათია. საქმიან პრეზიდიუმში შემოდიან ვ. მჟავანაძე, პ. როდიონოვი, დ. სტურუა, გ. ჯავახიშვილი, გ. ძოწენიძე, მწერლები ლ. სობოლევი, ნ. ტიხონოვი, ს. ბარუზდინი, ა. სოფრონოვი, ს. სმირნოვი, ა. მეჟიროვი, ა. კრივიცკი, დ. ყუგულდინოვი, გ. მდივანი, ო. გონჩარი, ო. სინიჩენკო, ო. ნოვიცკი, ნ. ლესუჩევსკი, ი. სუროვეცი, დ. პაარანდი, ე. ზემიზადე, შუხრათი, ა. კოსორუკოვი, უცხოელი სტუმრები ვ. კერნბახი, ა. კამფო, ლამარი, ი. დობოზი, ი. განადი, ჟ. რაბი, რ. კირში, ჯ. იუტეში, ლ. ლევინი, ქართველი მწერლები გ. აბაშიძე, ბ. ჟღენტი, ს. ჩილაია, ი. ნონეშვილი, ს. ჩანჩიაშვილი, ი. აბაშიძე, კ. კალაძე, რ. მარგიანი, ქართველი მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი, რესპუბლიკის შემოქმედებითი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებსაც ხალხით სავსე დარბაზი გულთბილად, ტაშით ხვდება.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობათა გაერთიანებულ საზეიმო პლენუმს მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის პირველი მდივანი პოეტი ირ. აბაშიძე.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. ჯავახიშვილს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, მთელი ქართველი ხალხის სახელით იგი მხურვალედ მიესალმება პლენუმის მონაწილეებს.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 179 (3663)

11 1968 წ. სექტემბერი, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.




სპორტსმენმა ჰაერში უჩვეულო წრე მოხაზა, რამდენჯერმე ამოტრიალდა და უხმაუროდ, თითქმის წყლის შხეფების გაუფანტავად ჩაეშვა წყალში. ასეთ სურათს ხშირად იხილავს სპორტის მოყვარული წყალში მხტომელთა შეჯიბრებაში. მაგრამ უბადლო შესრულება მხოლოდ დიდოსტატთა ხვედრია. სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, თბილისელი ბორის პოლულიახი. მის მრავალრიცხოვან გამარჯვებებს კიდევ ერთი დაემატა: კიევში დამთავრებულ წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატში პოლულიახმა ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ტრამპლინიდან ხტომაში.

* * *

სურათზე: ბორის პოლულიახი.

ფოტო ვ. გენგიურისა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## ბუშინ...

მოსკოვში გაიმართა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი. თამაშობდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და ტაშკენტის „პახტაკორი". მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 2:1.

„ა" კლასი I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 11 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 28 | 17 | 9 | 2 | 43—17 | 43 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 26 | 16 | 5 | 5 | 44—27 | 37 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 27 | 13 | 10 | 4 | 42—22 | 36 |
| ცსკა | 26 | 13 | 7 | 6 | 34—21 | 33 |
| „დინამო" (მინსკი) | 26 | 12 | 8 | 6 | 29—21 | 32 |
| „დინამო" (თბილისი) | 26 | 11 | 9 | 6 | 32—16 | 31 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 28 | 12 | 7 | 9 | 36—27 | 31 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 26 | 10 | 10 | 6 | 27—23 | 30 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 26 | 10 | 9 | 7 | 36—31 | 29 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 26 | 7 | 11 | 8 | 23—32 | 25 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 26 | 7 | 10 | 9 | 26—26 | 24 |
| ასკ (როსტოვი) | 26 | 8 | 7 | 11 | 33—36 | 23 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 26 | 7 | 9 | 10 | 17—20 | 23 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 26 | 7 | 8 | 11 | 24—34 | 22 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 27 | 7 | 8 | 12 | 15—32 | 22 |
| „არარატი" (ერევანი) | 26 | 7 | 5 | 14 | 24—37 | 19 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 27 | 5 | 8 | 14 | 20—32 | 18 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 26 | 5 | 7 | 14 | 17—31 | 17 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 27 | 5 | 7 | 15 | 27—49 | 17 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 26 | 4 | 8 | 14 | 15—30 | 16 |




## 12 „მექსიკელი"

დამტკიცდა სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობა. მეხიკოში გამგზავრებამდე ნაკრების მწვრთნელებმა 65 კანდიდატი გამოსცადეს და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვა იმ 12 კალათბურთელის ვინაობა, რომლებსაც საბჭოთა სპორტის სახელის დაცვა მოუწევთ XIX ოლიმპიურ თამაშებში. აი, ისინიც:

ზურაბ საკანდელიძე („დინამო", თბილისი, 187 სმ), სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.

სერგეი ბელოვი („ურალმაში", სვერდლოვსკი, 192 სმ), სპორტის ოსტატი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.

იური სელიხოვი (ცსკა, 185 სმ), სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.

ვადიმ კაპრანოვი (ცსკა, 192 სმ), სპორტის ოსტატი.

გენადი ვოლნოვი (ცსკა, 200 სმ), სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ხუთგზის ჩემპიონი.

მოდესტას პაულაუსკასი („ჟალგირისი", კაუნასი, 197 სმ), სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.

იაკ ლიპსო (ცსკა, 200 სმ), სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.

პრიიტ ტომსონი („კალევი", ტარტუ, 197 სმ), სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.

ანატოლი პოლივოდა („სტროიტელი", კიევი, 200 სმ), სპორტის ოსტატი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.

ალჟან ჟარმუხამედოვი („ბურევესტნიკი", ტაშკენტი, 207 სმ), სპორტის ოსტატი, ევროპის ჩემპიონი.

ვლადიმერ ანდრეევი (ცსკა, 217 სმ), სპორტის ოსტატი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.

სერგეი კოვალენკო („ბურევესტნიკი", თბილისი, 217 სმ), სპორტის ოსტატი.

ამ სიაში მხოლოდ ორი კალათბურთელი — ლიპსო და ვოლნოვი არიან წინაოლიმპიადის მონაწილენი.

სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების პირველი კანდიდატები არიან: ანატოლი კრიკუნი (ტარტუს „კალევი") და მიხეილ ქორქია (თბილისის „დინამო").

## სპორტის აქტუალურ პრობლემებზე

ვერსალი, 9 სექტემბერი. აქ დამთავრდა ევროპის ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტები და გენერალური მდივნები. მონაწილეთა შორის იყვნენ: საფრანგეთის, ინგლისის, სსრ კავშირის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.

სხდომის ბოლო დღე მიეძღვნა საერთაშორისო სპორტულ გაერთიანებათა ხელმძღვანელებისა და ფედერაციების პრეზიდენტების შეხვედრას. კერძოდ, ასეთი შეხვედრები მოეწყო ძალოსნობის, ფარიკაობის, ჭიდაობის, ფრენბურთის, ტანვარჯიშის, ნიჩბოსნობისა და სასროლო სპორტის საერთაშორისო ფედერაციების პრეზიდენტებთან.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. კაზანსკიმ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ თათბირზე განხილულ იქნა საერთაშორისო სპორტის განვითარების აქტუალური პრობლემები.

თათბირის მონაწილეებმა ილაპარაკეს აგრეთვე, ქალთა სპორტის განვითარების გზებზე, განიხილეს დოპინგის საწინააღმდეგო ღონისძიებები, დასახეს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების თანამშრომლობის გზები. გადაწყდა, მომავალ წელს ჩატარდეს ანალოგიური ხასიათის თათბირი. შეიქმნა გაერთიანებული კომისია, რომელიც მოამზადებს წინადადებებს ევროპული თამაშების სასარგებლოდ. ამ კომისიაში შევიდნენ სსრ კავშირის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიისა და შვეიცარიის წარმომადგენლები.

## უცხოეთის სარბ...

◆ ლახტი, 10 სექტემბერი. აქ გაიმართა რკინიგზელ ძალოსანთა ევროპული ჩემპიონატი. გუნდური I ადგილი დაისაკუთრა საბჭოთა კოლექტივმა. ჩვენებიდან კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ ფრუნზელი ვ. კიმი (მჩატე წონა) და ტაშკენტელი ი. რასჩოსკინი (ქვემძიმე). ასპარეზობაში 13 ქვეყნის 80 ათლეტი გამოდიოდა.

◆ ჰავანა, 10 სექტემბერი. კაპაბლანკასადმი მიძღვნილ მოჭადრაკეთა მემორიალში ლიდერობენ საბჭოთა დიდოსტატები. წინაა რ. ხოლმოვი, რომელმაც 7 ქულა (რვიდან) დააგროვა. მას ერთი ქულით ჩამორჩება ლ. შტეინი. 4,5 ქულა აქვს ა. ხუეტისს.

◆ ბუდაპეშტი, 10 სექტემბერი. საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავის დღესასწაულის დღეებში უნგრელმა მძლოლმა დ. შირილამ დიად თარიღს მიუძღვნა უნგრეთის დედაქალაქიდან მოსკოვში ფეხით გადარბენა. ამჯერად მან გადაწყვიტა ასეთივე „ლაშქრობა" მოაწყოს ბუდაპეშტიდან ვენამდე.

◆ სალემი, 10 სექტემბერი. კანადაში გამოსვლის შემდეგ, აშშ-ს ესტუმრა დანიელი დიდოსტატი ბ. ლარსენი. გამოდიოდა რა ამ ქალაქში გამართულ ტრადიციულ საჭადრაკო ტურნირში, I-II ადგილები გაიყო ა. ბენკოსთან (აშშ). თვითეულმა მათგანმა მოაგროვა 4-4 ქულა. მათ შორის პარტია ყაიმით დასრულდა.

◆ საუტ-ლეიკ-ტახო, 10 სექტემბერი. კალიფორნიის შტატის ამ ქალაქში მოწყობილ ამერიკელ მძლეოსანთა ოლიმპიადისწინა შეჯიბრებაში 100 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდის (9,9) მფლობელებმა ჩ. გრინმა, რ. სმითმა და ჯ. ჰაინსმა ამ მანძილის გარბენას 10 წამი მოანდომეს, დანარჩენი სამი სპორტსმენის შედეგია — 10,1.

# ხუთი ბრინჯაო და საქართველოს რეკორდი

კიევის ველოტრეკი ჭაბუკთა და იუნიორთა საკავშირო პირველობის მონაწილე სპორტსმენებს მასპინძლობდა. ეს ასპარეზობა აღსანიშნავია იმითაც, რომ წლეულს პირველად ჩატარდა რესპუბლიკის ნაკრები გუნდების დონეზე.

ტრეკზე რბოლა ჩვენს რესპუბლიკაში მასობრიობით რომ არ გამოირჩევა, ეს უდაოა. და რა გასაკვირია, უკრაინის დედაქალაქში საასპარეზოდ ჩასული 10 კოლექტივიდან მხოლოდ საქართველოს გუნდი რომ იყო ყველაზე მცირერიცხოვანი. ასპარეზობაში ჩვენგან არც ერთი გოგონა არ მონაწილეობდა. თუ იმასაც ვიტყვით, რომ საქართველოს სპორტსმენები ყველაზე უხეირო ველოსიპედებით გამოდიოდნენ, ცხადია, რაიმე წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტი გახლდათ.

და მაინც, ჩვენები თამამად იბრძოდნენ და საბოლოოდ 5 ბრინჯაოს მედალიც კი მოიხვეჭეს. 4 კმ გუნდურ რბოლაში ჯაგაევმა, პეტრიანმა, გოგიტაშვილმა და მელიქოვმა მანძილი 4.50,5 წ. დაფარეს და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარეს იუნიორთა შორის.

ბრინჯაოს მედლის მეხუთე კავალერი გახდა 500 მ ადგილიდან გიტში მონაწილე ქადაგიშვილი, რომელმაც 36,9 წ. აჩვენა. საქართველოს წარგზავნილებმა საბოლოო გუნდურ ჩათვლაში VI ადგილი დაიკავეს.

კიევის ტრეკზე ჩვენი გუნდის გამოსვლამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ჩვენ არ გვყავს სათანადო რეზერვი, ცუდადაა გოგონათა მომზადების საქმე, გადასაჭრელია სპორტული ინვენტარის საკითხი.

თ. გაჩეჩილაძე.

## სსრ კავშირის პირველობა

„ბ" კლასი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები რსფსრ-ს ზონებში.

### III ზონა

„ტორპედო" (არმავირი) — „დილა" (გორი) 1:0, „უროჟაი" (ლაბინსკი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:0, „უროჟაი" (მაიკოპი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 3:0, „ურალანი" (ელისტა) — „დაშკინი" (ზაქათალა) 2:1, „უროჟაი" (სვეტლოგრადი) — „არაზი" (ნახიჭევანი) 1:0, „კოლოსი" (ალექსანდროვსკაია) — „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) 0:0, „სპარტაკი" (ორიოლი) — „ტრუდი" (ენგელსი) 1:2, „შრ. რეზერვები" (კურსკი) — „ხიმიკი" (ბალაკოვო) 1:0, „სპარტაკი" (ბელგოროდი) — „ენერგია" (ვოლჟსკი) 2:0, „ხიმიკი" (ნევინომისკი) — „უროჟაი" (სლავიანსკი) 0:0.

### IV ზონა

„მაშუკი" (პიატიგორსკი) — „ლერნაგორცი" (კაფანი) 5:0, „უროჟაი" (გროზნო) — „სევანი" (ოქტემბერიანი) 0:0, „ირისთონი" (მოზდოკი) — „არაქსი" (ეჩმიაძინი) 0:0, „მერცხალი" (მახარაძე) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:0, „უროჟაი" (დერბენტი) — „ენგური" (ზუგდიდი) 1:0, „ტრუდი" (კასპიისკი) — „დინამო" (სოხუმი) 3:1, „უროჟაი" (კრიმსკი) — „ნარზანი" (კისლოვოდსკი) 4:1.



## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 11 სექტემბრისთვის

### III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ბელგოროდი) | 30 | 18 | 7 | 5 | 57—18 | 43 |
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 31 | 19 | 5 | 7 | 46—17 | 43 |
| „შრ. რეზერვები" (კურსკი) | 30 | 18 | 7 | 5 | 39—30 | 43 |
| „ხიმიკი" (ბალაკოვო) | 31 | 14 | 12 | 5 | 34—16 | 40 |
| „დილა" (გორი) | 29 | 15 | 8 | 6 | 47—18 | 38 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 30 | 14 | 7 | 9 | 27—20 | 35 |
| „ტორპედო" (არმავირი) | 30 | 11 | 10 | 9 | 30—28 | 32 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 30 | 10 | 11 | 9 | 33—27 | 31 |
| „უროჟაი" (სლავიანსკი) | 30 | 11 | 8 | 11 | 41—30 | 30 |
| „ენერგია" (ვოლჟსკი) | 30 | 10 | 10 | 10 | 29—25 | 30 |
| „ტრუდი" (ენგელსი) | 28 | 10 | 9 | 9 | 32—23 | 29 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 29 | 11 | 6 | 12 | 33—34 | 28 |
| „უროჟაი" (ლაბინსკი) | 30 | 8 | 12 | 10 | 14—35 | 28 |
| „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) | 30 | 9 | 9 | 12 | 23—35 | 27 |
| „დაშკინი" (ზაქათალა) | 29 | 10 | 7 | 12 | 26—42 | 27 |
| „კოლოსი" (ალექსანდროვსკაია) | 29 | 9 | 7 | 13 | 24—31 | 25 |
| „უროჟაი" (სვეტლოგრადი) | 31 | 7 | 10 | 14 | 23—44 | 24 |
| „ხიმიკი" (ნევინომისკი) | 30 | 6 | 11 | 13 | 23—30 | 23 |
| „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) | 29 | 6 | 11 | 12 | 17—29 | 23 |
| „არაზი" (ნახიჭევანი) | 30 | 4 | 8 | 18 | 19—51 | 16 |
| „ურალანი" (ელისტა) | 29 | 2 | 6 | 21 | 22—59 | 10 |

### IV ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლორი" (კიროვაკანი) | 30 | 14 | 12 | 4 | 34—24 | 40 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 29 | 14 | 11 | 4 | 37—14 | 39 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 30 | 17 | 5 | 8 | 49—30 | 39 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 31 | 15 | 7 | 9 | 46—33 | 37 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 30 | 14 | 8 | 8 | 42—24 | 36 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 30 | 15 | 6 | 9 | 41—25 | 36 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 31 | 11 | 12 | 8 | 36—34 | 34 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 30 | 11 | 11 | 8 | 38—30 | 33 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 28 | 11 | 10 | 7 | 37—24 | 32 |
| „არაქსი" (ეჩმიაძინი) | 29 | 14 | 4 | 11 | 30—29 | 32 |
| „ნარზანი" (კისლოვოდსკი) | 28 | 10 | 9 | 9 | 32—25 | 29 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 30 | 10 | 9 | 11 | 30—29 | 29 |
| „ირისთონი" (მოზდოკი) | 31 | 10 | 8 | 13 | 31—32 | 28 |
| „დინამო" (სოხუმი) | 31 | 11 | 5 | 15 | 39—43 | 27 |
| „ტრუდი" (კასპიისკი) | 29 | 11 | 5 | 13 | 29—36 | 27 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 31 | 8 | 11 | 12 | 22—33 | 27 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 30 | 10 | 5 | 15 | 32—34 | 25 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 29 | 6 | 9 | 14 | 19—32 | 21 |
| „უროჟაი" (გროზნო) | 29 | 5 | 9 | 15 | 29—46 | 19 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 29 | 8 | 3 | 18 | 22—48 | 19 |
| „კახეთი" (თელავი) | 29 | 4 | 7 | 18 | 17—45 | 15 |

## სამტრედიელთა ორი გამარჯვება

სამტრედიაში დამთავრდა „ბ" კლასის (II ლიგის) კალათბურთელთა რესპუბლიკური ტურნირი დასავლეთ საქართველოს გუნდებს შორის. გათამაშებაში მონაწილეობდნენ სამტრედიის, ფოთის, წყალტუბოს, ზუგდიდის, ჩოხატაურის, ცხაკაიას, ამბროლაურის, საჩხერის და თერჯოლის რაიონების გუნდები.

ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა სამტრედიის სპორტსმენთა კოლექტივმა (მწვრთნელი რ. ქორქოლიანი). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სამტრედიის „კოლმეურნის" კალათბურთელები და ფოთის გუნდი. მაგრამ ვინაიდან კოლმეურნე სპორტსმენები ტურნირში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ, III საპრიზო ადგილი წილად ხვდათ წულუკიძელებს, ხოლო ფოთის გუნდმა II ადგილზე გადაინაცვლა.

ქალთა შორისაც სამტრედიელებმა იმარჯვეს (მწვრთნელი ქ. ძიბაძე), II ადგილი დაისაკუთრა ჭიათურის, ხოლო III — წულუკიძის გუნდებმა.

ჯ. ვაშაკიძე.

# ყველა ოქრო...

... ბათუმში, ზღვისპირა პარკში, მაგნოლიების ჩრდილქვეშ ბადით გაყოფილი მაგიდები იდგა. დილიდან საღამომდე ხტოდნენ თეთრი პლასტმასის პატარა ბურთები... დილიდან საღამომდე. და არც ზღვის გრილ ტალღებს, არც მზის ალერსიან სხივებს არ ძალუძდათ მაგნოლიების ჩრდილიდან ბიჭების გატყუება.

სარქის სარხოიანმა პირველად აქ დაიწყო მაგიდის ჩოგბურთის თამაში და მოკლე ხანში ისე გაიწაფა, რომ თანატოლებში პირველობდა.

პარკში ბავშვთა სპორტული სკოლის მოსწავლეებიც დადიოდნენ. სარქისი ერთხელ ერთ-ერთ მათგანს — თემურ ცინცაძეს ეთამაშა. ეთამაშა და განაცვიფრა: თემურს — მოზრდილთა მესამე თანრიგი ჰქონდა. თამაშის შემდეგ მან სარქისს ურჩია, ჩვენს სპორტსკოლაში დაიწყე სწავლაო.

ეს იყო 1960 წელს. მაშინ სარქისი ბათუმის მე-7 საშუალო სკოლაში სწავლობდა, მეხუთე კლასს ამთავრებდა. ბედმა გაუღიმა — ბავშვთა სპორტულ სკოლაში გამოცდილ მწვრთნელთან და გულისხმიერ აღმზრდელთან კარლო გუგუშვილთან მოხვდა (ამჟამად საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი). კარლომ პირველსავე მეცადინეობაზე დაინახა მოზარდში დიდი ნიჭი, უჩვეულო შრომისმოყვარეობა, ჟინი.

მაგრამ სარქისი მაინც „ნედლი მასალა" იყო, რომლიდანაც ნამდვილი სპორტსმენი უნდა გამოძერწილიყო. მწვრთნელის შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. სარქისი ცამეტი წლისა იყო, როცა ჯერ აჭარის ჩემპიონობა მოიპოვა, შემდეგ საქართველოსი. თექვსმეტი წლისამ ჩაიცვა მაისური წარწერით „სსრკ". გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა: I ადგილები მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში (ამ შეჯიბრებაში, რომელშიც ხუთი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, სარქისმა მოუგო მსოფლიო ჩემპიონს უნგრელ ბერციკს) და იუნიორთა ასპარეზობაში. სსრ კავშირში ტურნეს დროს მასთან ვერაფერი გააწყვეს პატარა ბურთის ვირტუოზებმა — იაპონელებმაც კი.

1964 წელს სარხოიანმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა, გაიმარჯვა საკავშირო პირველობის ტალინის ზონაში. სამი წლის შემდეგ მას მიენიჭა საერთაშორისო ოსტატის წოდება, გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი შერეულ წყვილთა ასპარეზობაში.

სარქისი მუდამ ცდილობს პირველი ან მეორე დარტყმისთანავე მოიგოს ქულა, სწრაფად მიაღწიოს გადამწყვეტ უპირატესობას. მისი სპორტული თვისებებია გამბედაობა და სიმტკიცე, ბურთზე ელვისებური რეაგირება, უნარი, რომ არ დაიბნეს ურთულეს სიტუაციაშიც კი, მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელად გადავიდეს თავდაცვიდან თავდასხმაზე. მისი ჩახვეული დარტყმის, ოსტატური ჩაწოდების გამოცნობა ვერ შეძლეს ევროპის ისეთმა ცნობილმა მოთამაშეებმაც კი, როგორიც არიან ვეცკო და კორპა (იუგოსლავია), როუეში და ხარანგი (უნგრეთი), კუნცი და კორალოვიჩი (ჩეხოსლოვაკია), ბერნჰარდი (შვეცია) და სხვები.

წლევანდელმა წელმა დიდი სიხარული მოუტანა სარქისს. თებერვალში ესტონეთის დედაქალაქ ტალინში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი გაიმართა. სარხოიანმა, როგორც იტყვიან, თავისთავსაც გადააჭარბა — ერთეულთა ასპარეზობაშიც გაიმარჯვა, შერეული წყვილებისა და ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაშიც.

მ. მშვიდობაძე.

ბათუმი.

* * *



სურათზე: ს. სარხოიანი შეჯიბრების დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

# საჩემპიონო ბილიკი ვიწროა

ტყვარჩელში შემთხვევა მომეცა კონსტანტინე სიმონოვს შევხვედროდი. ცნობილმა პოეტმა მითხრა, რომ, მიუხედავად 53 წლის ასაკისა, დღესაც სიამოვნებით ვვარჯიშობ ცურვაში, ჩოგბურთში. ამ სახეობების ყველა საიდუმლო ბოლომდე რომ ვიცოდე, დიდი ხანია პირველი სპორტსმენი ვიქნებოდიო, — იხუმრა პოეტმა.

ახალციხელმა სამუშაოთა მწარმოებელმა გიორგი მაისურაძემ კი ეს საიდუმლოებები იცის. იგი დღეს „რეკორდსმენია" ქართულ ჭიდაობაში. ქვემძიმე წონის ტყვარჩელელი მოჭიდავის თ. ბაკურაძის დასამარცხებლად მაისურაძეს დასჭირდა... ათი წამი.

კარგი ტაქტიკოსი გამოდგა ტყვარჩელელი ა. ასპანაშვილი. მეექვსე წუთზე მან ლამაზი ილეთი გააკეთა და ორი გამარჯვების ქულა ჩაიწერა. ასპანაშვილის მეტოქე, ქვემძიმე წონის ი. გურგენიძე (ტყიბული) თავგამეტებით გადავიდა იერიშზე და... ხალიჩას გაკრული აღმოჩნდა. ეს მოხდა 85-ე წამზე. 40 წლის მძიმე წონის სპორტსმენი ბ. ლომიძე (ტყიბული) ყველა შეხვედრას ღიმილით იწყებდა და ამთავრებდა.

ზემოდასახელებულთა გარდა ჩემპიონობა მოიპოვეს ს. ბობუამ, ი. გაინუდინოვმა, ქ. კორტავამ, ვ. ადლეიბამ (ყველა — ტყვარჩელი) და ი. გვარამაძემ (ახალციხე). ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის III სპარტაკიადის ჩემპიონობა ქართულ ჭიდაობაში ტყვარჩელის წარმომადგენლებს ხვდათ. მშობლიური „კედლები" მოშაშეებსაც დაეხმარა. მათ მოუგეს ტყიბულისა (2:1) და ახალციხის (3:0) წარმომადგენლებს, ხოლო ჭიათურის გუნდთან შეხვედრა ყაიმით დაამთავრეს — 1,5:1,5. გუნდის წარმატებაში წვლილი შეიტანა 17 წლის ხ. კანინამაც. შემდეგ იგი კარგად გამოვიდა მაგიდის ჩოგბურთშიც. საერთო შედეგი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო — 5:0 ჭიათურისა და ახალციხის გუნდებთან, 4:1 — ტყიბულელებთან. ტყვარჩელელებს არც ტყიბულის სპორტსმენები ჩამორჩნენ. პირველი გამარჯვება კალათბურთელმა ქალებმა მოიპოვეს — ანგარიშით 28:1[illegible] დაამარცხეს ტყვარჩელის გუნდი. სხვათა შორის, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს გულშემატკივრებმაც. ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" ბუღალტერმა იაშვილმა თავაძემ კარგი თამაშისთვის ყვავილები და შოკოლადის ფილა მიიღო. ჩემპიონობა დაისაკუთრეს ტყიბულის კალათბურთელმა ვაჟებმაც. მათი ფინალური მატჩი ტყვარჩელელებთან, შეიძლება ითქვას, ყველაზე საინტერესო იყო. თამაში დამთავრდა ანგარიშით 51:47. ფინალში გაიმარჯვეს ტყიბულის ფეხბურთელებმაც — დაამარცხეს ტყვარჩელის გუნდი — 2:1. გამარჯვება მოცურავეთა შორისაც ტყიბულის წარმომადგენლებს ხვდათ — 13 წლის ბ. ბაკოდირს (100 მეტრზე ბრასით — 2.01,0) და 17 წლის ვ. მახკოვ[illegible] (100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — 1.21,3). დავუმატებთ, რომ ცურვაში ხულ რ[illegible] სპორტსმენი ცდიდა ძალას.

მაშ ასე, პირველი ნაწილი ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის III სპარტაკიადისა, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა, დამთავრდა. წინ[illegible] მძლეოსანთა, ველოსიპედისტთა, ძალოსანთა, ფრენბურთელთა და სხვა შეჯიბრებები.

ვ. ბუკინი.

(ჩვენი სპეც. კორ.)

ტყვარჩელი.

[illegible]

## სოხუმი

სამ დღეს გაგრძელდა აფხაზეთის „კოლმეურნის" პირველობა მძლეოსნობაში. მონაწილეობდნენ გულრიფშის, გალის, გაგრის, გუდაუთის, სოხუმისა და ოჩამჩირის გუნდები. ყველას სოხუმელებმა აჯობეს.

შ. ჯალაღონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ტრადიციული...

კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით ყოველი სასწავლო წლის პირველ კვირადღეს იმართება სპორტული შეჯიბრებები. წელს იგი ჩატარდა მძლეოსნურ ესტაფეტაში, კალათბურთსა და ფრენბურთში.

ყველაზე საინტერესო მძლეოსანთა ასპარეზობა გამოდგა. 2000-მეტრიანი ტრასა 10 ეტაპად იყო დაყოფილი. ყველას აჯობეს 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. კალათბურთელ ჭაბუკთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მე-2 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, ხოლო ფრენბურთელ გოგონათა ჭიდილში — ამავე სკოლის სპორტსმენებმა.

რ. ზაბრიძიძე.

სურათებზე: ესტაფეტის მომენტები.

ფოტო ავტორისა.

# სპორტი და პოლიტიკა

ახლოვდება მეხიკოს ოლიმპიური თამაშები, რომელიც მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებაში დიდი სპორტული და კულტურული მოვლენა იქნება. ოლიმპიადა ამჟამად მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. მექსიკის თამაშებისთვის მზადება ხომ მშვიდობის, მეგობრობისა და ხალხთა შორის ურთიერთგაგების ლოზუნგით ჩატარდება.

ტას-ის კორესპონდენტი შეხვდა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს ვ. სავინს და სთხოვა ეამბნა ოლიმპიური მოძრაობის ყველაზე აქტუალური პრობლემების თაობაზე.

აი, რა თქვა ვ. სავინმა:

—ახალგაზრდა თაობის ხასიათისა და შეხედულების ფორმირებაში სერიოზული გავლენა აქვს სპორტს. მას დიდი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სპორტული კონტაქტები დიდ შესაძლებლობას ქმნის ხალხთა შორის თანამშრომლობისა და დაახლოვების საქმეში, ურთიერთგაგების დამყარებისას. სპორტულ მოძრაობაში ხომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მილიონობით ახალგაზრდაა გაერთიანებული პოლიტიკური, იდეური, რელიგიური რწმენისა და რასობრივი მიკუთვნებულობის მიუხედავად.

საბჭოთა ადამიანები საერთაშორისო სპორტულ მოძრაობას იხილავენ, როგორც დიდ სოციალურ ძალას, რომელსაც შეუძლია და უნდა შეძლოს კიდეც საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემების გადაწყვეტაზე აქტიური ზემოქმედება. სპორტი — მისი იდეები და პრინციპები უნდა ემსახურებოდეს მშვიდობას, დემოკრატიას, პროგრესს.

აი, რატომ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმათ, ვინც გამოდის პოლიტიკისა და სპორტის შეუთანხმებლობის თეზისით. პრობლემის არსს რომ ჩავწვდეთ და ვნახოთ თუ როგორია ამგვარი იდეების პროპაგანდისტთა ლიდერების პრაქტიკული საქმიანობა, ადვილად დავრწმუნდებით, რომ სპორტის აპოლიტიკურობის მტკიცება მხოლოდდამხოლოდ ფარდაა, რომლის უკან შეიძლება მოხერხებულად დამალვა, როცა აუცილებლად საჭიროა გამოხვიდე სპორტული თანამშრომლობის პრინციპებისა და კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ. იმის ცდა, რომ დაარწმუნო ყველა, თითქოს სიტყვა „პოლიტიკის“ გვერდით არ შეიძლება სიტყვა „სპორტის“ ხმარება, იმალება აშკარა პოლიტიკური ხაზი.

ახლა 50-ზე მეტი საერთაშორისო სპორტული გაერთიანებაა, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო სპორტული მოღვაწეობის რეგლამენტაციას ეწევიან. მათ რიცხვში შედის სპორტის სახეობების საერთაშორისო სპორტული ფედერაციები, სტუდენტური სპორტის გაერთიანება, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის საერთაშორისო საბჭო და ბოლოს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი — ოლიმპიური მოძრაობის უმაღლესი ორგანო, რომელიც 123 ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს აერთიანებს.

ეს ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან დაიცვან ყველა ქვეყნის თანასწორუფლებიანობის პრინციპები, არა მარტო სპორტულ შეჯიბრებებში, არამედ მსოფლიოს სპორტული მოძრაობის პრინციპიალური და მთავარი პრობლემების გადაწყვეტის დროსაც. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მათ უფლება აქვთ განსაზღვრონ მსოფლიოს სპორტში მთავარი მიმდინარეობანი ან პოლიტიკა, განსაზღვრონ მისი განვითარება. საქმე მხოლოდ იმაშია, თუ რა მიზნებს ემსახურება ეს პოლიტიკა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტური ქვეყნების სპორტული ორგანიზაციები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს გარემოება საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში ახალი ეტაპის დასაწყისი გახდა. ამასთანაა დაკავშირებული საერთაშორისო სპორტული გაერთიანებების მოღვაწეობის დემოკრატიზაციისკენ მიმართული ენერგიული ზომები, მათში ყველა შემავალი ორგანიზაციის თანასწორუფლებიანობა, მოძველებული წესებისა და დებულებების შეცვლა, რომლებიც სპორტის განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს ვერ უპასუხებენ, აქტიურად ჩაბმა მსოფლიო სპორტის ძირითადი პრობლემების გადაწყვეტაში.

სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა მიერ წამოყენებული დებულებები, რომლებიც საერთაშორისო სპორტული მოძრაობის დემოკრატიზაციისაკენ იყო მიმართული, ზოგიერთი სპორტული მოღვაწის წინააღმდეგობას ხვდებოდა, იმ მოტივით, რომ ეს წინადადებები პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებიან და პროპაგანდას წარმოადგენენ.

ამ წლებში მსოფლიოს სპორტის ყველაზე უფრო კონსერვატული წარმომადგენლები ფართო კომპანიას აჩაღებდნენ გდრ-ისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების აღიარების საქმეში. ამ ქვეყნების ათლეტები გააფთრებულ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ საერთაშორისო სპორტულ გაერთიანებებში შესვლის დროს, მათ აიძულებდნენ გამოსულიყვნენ მეზობელ ქვეყნებთან საერთო გუნდში, არ აძლევდნენ ოფიციალურ ჩემპიონატებში გამგზავრების ვიზებს, თავს ახვევდნენ გუნდებს ხელოვნურ სახელწოდებებს, უკრძალავდნენ ეროვნული დროშის ქვეშ გამოსვლას და ამ ქვეყნების სახელმწიფო ჰიმნების შესრულებას გამარჯვებულთა დაჯილდოების დროს.

დღემდე გდრ-ისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები მთელ რიგ სპორტულ გაერთიანებებში დისკრიმინაციას განიცდიან. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს. ამ კომიტეტის წესდებაში წერია: „ოლიმპიური თამაშები ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. ისინი აერთიანებენ ყველა ქვეყნის მოყვარულ სპორტსმენებს, პატიოსან და თანასწორუფლებიან შეჯიბრებებში. ქვეყნებისა ან ცალკეული პირების მიმართ არ დაიშვება არავითარი დისკრიმინაცია რასობრივი, რელიგიური თუ პოლიტიკური მოტივებით“. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აღიარებს ყველა ქვეყნისა და სპორტსმენის თანასწორუფლებიანობას.

პრაქტიკა კი სულ სხვას გვიჩვენებს, ვინაიდან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი თავს ახვევს გდრ-სა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას „აღმოსავლეთ გერმანიისა“ და „ჩრდილოეთ კორეის“ სახელწოდებებს. ამავე დროს გფრ-ისა და სამხრეთ კორეის გუნდები გამოდიან „გერმანიისა“ და „კორეის“ სახელწოდებით. როგორ დავუკავშიროთ ყველაფერი ეს განცხადებას, რომ სპორტი პოლიტიკის გარეშეა?

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდებაში შეიძლება ნახოთ განცხადებაც იმის შესახებ, რომ ოლიმპიური მოძრაობა არ არის პოლიტიკური ხასიათის და რომ სიტყვა „ქვეყანა“ იხმარება როგორც გეოგრაფიული ზონის, რაიონისა ან ტერიტორიის მიმართ, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მოღვაწეობს და იმათ მიმართაც, სადაც მუდმივი მთავრობა არსებობს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ პრაქტიკულად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი პირიქით იქცევა და სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებს გეოგრაფიული რაიონებისა და ტერიტორიის კატეგორიას აკუთვნებს. ასეთი მანიპულაციების შემდეგ წარმოიქმნება ხოლმე ოლიმპიურ თამაშებში გუნდების „ახალი“ დასახელება.

პრაქტიკულად პოლიტიკური სიმპათიები და ანტიპათიები გაცილებით უფრო ძლიერია აპოლიტიკურ დეკლარაციებზე.

სულ ახლახან ოლიმპიური მოძრაობა სერიოზული გამოცდის წინ იდგა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გრენობლის სესიაზე წევრთა უმეტესობამ საკუთარი პრინციპებისა და წესების მიუხედავად, გადაწყვეტილება მიიღო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული ორგანიზაციების მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში დაშვების შესახებ. ეს ყველაფერი გაკეთდა იმის მიუხედავად, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში არსებობს ძირითადი მოსახლეობის აშკარა რასობრივი დისკრიმინაცია ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, სპორტში. ასეთი გადაწყვეტილება წარმოადგენდა რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკის პრაქტიკულ მოწონებას. ბუნებრივია, ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ აღსდგა ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ოლიმპიური პრინციპები. სასტიკად გაჰკიცხა ეს პოზიცია სსრ კავშირის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმაც. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი იძულებული იყო უკან დაებრუნებია რეზოლუცია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის უარი ეთქვა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე.

დასავლეთის სპორტის ზოგიერთი მოღვაწე გამარჯვებულთა დაჯილდოების დროს მონაწილე ქვეყნების დროშების აღმართვისა და ჰიმნების შესრულების წინააღმდეგია. საბჭოთა სპორტსმენები უსამართლოდ თვლიან ამ საზეიმო ცერემონიის შეუსრულებლობას. ძნელი არაა გავიგოთ გამარჯვებულის გრძნობები, როცა საზღვარგარეთ უცნობ სტადიონზე აღიმართება მისი ქვეყნის დროშა და შესრულდება ეროვნული ჰიმნი. მრავალი სპორტსმენი ამ წუთებს თავისი ცხოვრების უბედნიერეს მომენტებს უწოდებს. ეს ნაციონალიზმი როდია, არამედ პატრიოტიზმის ყველასათვის გასაგები გრძნობა. ამ საზეიმო ცერემონიალის უარყოფის ცდები ეროვნული სპორტული ორგანიზაციების სამართლიან გულისწყრომას იწვევს. ეს ხომ იმის ცდაა, რომ სპორტსმენები გადააქციონ უსამშობლო ადამიანებად. ამასთან დაკავშირებით, მოგაგონებთ, რომ თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის დამფუძნებელი პ. კუბერტენი სათანადოს მიუზღავდა ოლიმპიადების პოლიტიკურ მნიშვნელობას და ამ შეჯიბრებებში მონაწილეთა ეროვნული სიამაყის გრძნობას.

პირფერობა იქნებოდა უარვყოთ, რომელიც გნებავთ ქვეყნის ხალხის დაინტერესებულობა საერთაშორისო შეჯიბრებებში თავიანთი სპორტსმენების წარმატებით გამოსვლაზე, მით უმეტეს ოლიმპიადებში. ამიტომ ჩვენ მოუთმენლად ველით მექსიკაში სპორტული ბრძოლების დაწყებას. კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის ტექნიკურმა საშუალებებმა გააფართოვა საზღვრები სტადიონებისა და სადაც არ უნდა იყვნენ სპორტის მოყვარულები — ოლიმპიური დედაქალაქის ტრიბუნებზე თუ ტელევიზორების ეკრანებთან, ბუნებრივია, პირველყოვლისა გამარჯვებას უსურვებენ თავიანთ თანამემამულეებს, მაგრამ ყველა ისინი სათანადოს მიუზღავენ გამარჯვებულთა ძალას, სპორტულ ოსტატობას, მოქნილობას, რომელი ქვეყნის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს იგი.

ჩვენ ვგულშემატკივრობთ საბჭოთა სპორტსმენებს, ვუსურვებთ მათ წარმატებებს, გვინდა ისინი ყოველთვის პირველები რომ იყვნენ. კარგად გვესმის, ყოველთვის გამარჯვება, უბრალოდ, შეუძლებელია და ეს არც არის მთავარი. ჩვენთვის მთავარს წარმოადგენს ის, რომ სპორტული მოძრაობა სსრ კავშირში აერთიანებს მილიონობით ადამიანს, რომ ფიზკულტურა და სპორტი საბჭოთა ხალხის ყოფაში შედის, რომ იგი ხელს უწყობს სიცოცხლისმოყვარული, ფიზიკურად ძლიერი, ახალგაზრდა თაობის აღზრდასა და ფორმირებას. სსრ კავშირში ფიზიკური კულტურის ფართო განვითარების წყალობით, სულ უფრო ნაკლებია ავადმყოფობა, იზრდება შრომის ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად ხანგრძლივდება ადამიანების აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა. ეს კეთილშობილური ამოცანები წარმატებით წყდება სსრ კავშირში პარტიის, მთავრობისა და ხალხის საერთო ძალებით, რომლებმაც სპორტი ადამიანების ჯანმრთელობისა და აღზრდის სამსახურში ჩააყენეს. საბჭოთა სახელმწიფოს ასეთი პოლიტიკა მთლიანად შეესაბამება მილიონობით ადამიანთა ინტერესებს და სსრ კავშირში საყოველთაო მხარდაჭერას პოულობს.

# კიდევ ერთი საფეხურით

კაუნასი, 10 სექტემბერი (დეპეშით). ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის III ტურმა თბილისის „ბურევესტნიკს“ ახალი წარმატება მოუტანა. ამ დღეს მათი მეტოქე გახლდათ კიევის არმიელთა სპორტული კლუბის კოლექტივი. სტუდენტებმა თამაში თავიდანვე გაბედულად დაიწყეს და თანდათან დაეუფლნენ ინიციატივას. პირველი ტაიმის დასასრულისთვის ისინი 8 ბურთის უპირატესობით (15:7) დაწინაურდნენ. მეორე ნახევარში კიეველები თითქოს გამოფხიზლდნენ და თამაში გაათანაბრეს, მაგრამ ახლა თავი გამოიჩინა „ბურევესტნიკის“ მეკარე აბაიშვილმა, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია. საბოლოოდ, მატჩი საქართველოს ხელბურთელთა გამარჯვებით (25:20) დამთავრდა. ბურთები გაიტანეს ცერცვაძემ — 7, კოპალეიშვილმა — 6, ნედბაილომ — 5, ექსეულიძემ — 3, ფხაკაძემ — 2, ბუნაძემ და სხიერელმა — თითო.

ჩემპიონატის ლიდერმა, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა ამ დღეს „იმსხვერპლა“ რიგის „დაუგავა“. მართალია, რიგელებმა შესვენებამდე კარგად ითამაშეს და მეტოქეს უპირატესობის მოპოვების საშუალება არ მისცეს (15:15), მაგრამ მეორე ნახევარში დათმეს პოზიციები, ბრძოლის ყველა სათავე მოსკოველებს დაუთმეს და დამარცხდნენ — 23:32. „ალუმინსტროისა“ (ზაპოროჟიე) და „კუნცევოს“ (მოსკოვი) მატჩში თავიდანვე მოსკოველები დაწინაურდნენ და I ნახევარი მოიგეს კიდეც — 10:6. II ნახევარში „კუნცევოს“ მიერ გატანილ 8 ბურთს „ალუმინსტროიმ“ მხოლოდ ხუთით უპასუხა. საბოლოოდ 18:11 „კუნცევოს“ სასარგებლოდ. კრასნოდარის „ბურევესტნიკმა“ დაამარცხა „ჟალგირისი“ (კაუნასი) — 23:15 (10:8). ამ ტურის შემდეგ თბილისის „ბურევესტნიკმა“ კიდევ ერთი საფეხურით აიწია მაღლა — მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

ჯ. ენუქიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსკოვის საავიაციო ინსტ. | 14 | 13 | 1 | 0 | 350:263 | 27 |
| „კუნცევო“ (მოსკოვი) | 14 | 9 | 2 | 3 | 291:240 | 20 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 14 | 8 | 1 | 5 | 258:253 | 17 |
| „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) | 14 | 7 | 1 | 6 | 278:259 | 15 |
| „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) | 14 | 7 | 1 | 6 | 271:249 | 15 |
| ასკ (კიევი) | 14 | 6 | 2 | 6 | 228:264 | 14 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 14 | 5 | 1 | 8 | 295:306 | 11 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 14 | 5 | 1 | 8 | 263:291 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემები, გამოკვლევები, ძიებანი

# 6. ოსტატურად, შთაგონებით...

**ზუგდიდის მუზეუმის მასალების მიხედვით**

ანდრია დადიანის არქივში მის ორ აქამდე უცნობ საჭადრაკო პარტიას წავაწყდი. ეს პარტიები კონსულტაციითაა ნათამაშევი და სხვას ჩაუწერია. უთამაშიათ ერთის მხრივ ე. შიფერსა და ვ. იურევიჩს, მეორეს მხრივ დადიანსა და ს. ლებედევს. იმის გარკვევაში, თუ როდის და სად გათამაშდა ეს პარტიები, დამეხმარა მინაწერი: 1903 წლის 10 სექტემბერი, კიევი.

1903 წლის 2-23 სექტემბერს კიევში ჩატარდა სრულიად რუსეთის III პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი ოსტატები (მ. ჩიგორინი, ე. შიფერსი) და მზარდი ახალგაზრდა მოჭადრაკეები (ა. რუბინშტეინი, ო. ბერნშტეინი, ვ. იურევიჩი, თ. დუზ-ხოტიმირსკი და სხვ.). ტურნირმა გამოაცოცხლა კიევის საჭადრაკო ცხოვრება.

პირველობას დადიანიც ესწრებოდა. ხანდახან მეგობრები შინ აკითხავდნენ მას და აქ საჭადრაკო პაექრობა იმართებოდა. აი, სწორედ ერთი ასეთი სტუმრობის დროს უთამაშიათ ეს ორი პარტიაც.

ანდრიას ოჯახში მეგობრებს სხვა დროსაც უპაექრიათ. იმავე წელს ჟურნალ „ნივას" დამატებაში (1903 წ. გვ. 762), სადაც ე. შიფერსი ჭადრაკის კუთხეს რედაქტორობდა, გამოქვეყნდა მათ შორის გათამაშებული ერთი პარტია:

**შიფერსი, დადიანი — ლებედევი, იურევიჩი**

მეფის გამბიტი

1. e4 e5 2. f4 ef 3. მf3 g5 4. კc4 g4 5. d4 gf 6. ლ:f3 d5 7. კ:d5 მf6 8. 0—0 c6.



9. მc3 cd 10. ed კg7 11. კ:f4 კf5 12. ეae1+ მფf8 13. კ:b8! კg4 14. ლf4 ლ:b8 15. d6 კe6 16. d5 მ:d5 17. მ:d5 კ:d5 18. ეe7 h6 19. ე:f7+ მფg8 20. ე:g7+ მფ:g7 21. ლf6+ მფh7 22. ლe7+ მფg8 23. ეf4 ლc8 24. d7. შავები დანებდნენ.

ამ პარტიაში ვხედავთ თეთრების კომბინაციური იერიში.

დავუბრუნდეთ ორ უცნობ პარტიას, მაგრამ ჯერ მეტოქეებს გავაცნობთ. შიფერსი, როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, დიდი ფიგურაა რუსული ჭადრაკის ისტორიაში.

ვლადიმერ იურევიჩი (1869-1907 წწ), პოეტი და ჟურნალისტი, უაღრესად ნიჭიერი მოჭადრაკე იყო. სრულიად რუსეთის III პირველობაში მან III ადგილი დაიკავა. ტურნირში მხოლოდ იურევიჩმა შეძლო პირველი პრიზიორის — ჩიგორინის დამარცხება. იურევიჩი აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში. ხშირმა პატიმრობამ გატეხა მისი ჯანი და სიცოცხლეც მოუსწრაფა.

სერგეი ლებედევმა (1868-1942 წწ) რუსეთის მოჭადრაკეთა III პირველობაში მხოლოდ IX-X ადგილები გაიყო. მანამდე, I პირველობაში მან IV ადგილი დაიკავა და თვით ჩიგორინიც დაამარცხა. 1923 წლიდან, რსფსრ-ს პირველობაში მონაწილეობის შემდეგ, ლებედევი ჭადრაკს ჩამოსცილდა.

როგორც ხედავთ, ანდრიას მეგობრები საკმაოდ ძლიერი ოსტატები ყოფილან.

გთავაზობთ უცნობ პარტიებს.

**შიფერსი, იურევიჩი — დადიანი, ლებედევი**

ბერდის დებიუტი

შავებმა იოლად უკუაგდეს მეტოქეთა იერიშის მიღების ცდა. სწორმა სტრატეგიამ მათ უკვეთესი, მაგრამ უაღრესად რთული დაბოლოება მოუტანა. ოთხი ეტლის ენდშპილი ღლესაც „ათას ერთი ღამის ზღაპარია". მიუხედავად ამისა, ანდრიამ და მისმა კოლეგამ მას წარმატებით გაართვეს თავი.

1. f4 f5 2. მf3 მf6 3. b3 e6 4. კb2 d6 5. e3 კb7 6. კe2 c5 7. 0—0 მc6 8. მe5 d6 9. კh5+ g6 10. მ:c6 კ:c6 11. კf3 d5 12. c4 კg7 13. g4 0—0 14. gf ef 15. კe5 ლd7 16. d4 მe4 17. კ:e4 fe 18. მc3.



18. ... კ:e5 19. cd კg7! 20. dc ლ:c6 21. d5 ლe8 22. ეc1 ეd8 23. მe2 ეf5 24. მg3 ეf:d5 25. ლc2 ეd2! 26. ლc4+ ლf7 27. ლ:f7+ მფ:f7 28. მ:e4 ე:a2 29. f5 gf 30. ე:f5+ მფg8 31. მფh1 ეe8 32. მf6+ კ:f6 33. ე:f6 ეe7! 34. ეg1+ ეg7 35. ეgf1 h5 36. h4 ეb2 37. ეf8+ მფh7 38. ე1f5 მფh6 39. ეh8+ მფg6 40. ეhf8 ეd7 41. ეg5+ მფh7 42. ე:h5+ მფg7 43. ეf1 ეf7 44. ეg1+ მფf8 45. ეh8+ მფe7 46. h5 ე:b3 47. ეgg8 ეf2 48. ეh7+ მფd6 49. h6 ე:e3 50. ე:a7 ეe1+ 51. ეg1 ეe6 52. ეd1+ მფc6 53. h7 ეh6+ 54. მფg1 ეfh2 55. ე1d7 მფb5 56. ეab7 c4 57. h8ლ ე:h8 58. ეd6 მფb4 59. ეd:b6+ მფc3 60. ეg6 ეd2 61. ეc7 ეa8 62. ეg3+ მფb2 63. ეg2 ე:g2+ 64. მფ:g2 c3 65. მფf2 ეe8 66. ეb7+ მფc1 67. ეb6 c2 68. ეb7 ეe5 69. ეb6 მფd2 70. ეd6 + მფc3 71. ეc6+ მფd3 72. ეc7 ეe4. თეთრები დანებდნენ.

**დადიანი, ლებადევი — შიფერსი, იურევიჩი**

კარო-კანის დაცვა

დასაწყისში ორიგინალურმა თამაშმა შავებს დრო დააკარგვინა. თეთრებმა უროქოდ დარჩენილ შავ მეფეზე იერიშის შესაძლებლობა მიიღეს. საშიშროებამ იმატა ცენტრში თეთრი მხედრის გადმოყვანით. შიფერსმა და მისმა პარტნიორმა მატერიალური მსხვერპლი გაიღეს, მაგრამ ვერც პაიკის და ვერც ფიგურის შეწირვამ პარტია ვერ იხსნა.

1. e4 c6 2. d4 e5 3. de ლa5+ 4. მc3 კb4 5. კd2 ლ:e5 6. მf3 ლe7 7. კd3 d6 8. 0—0 კg4 9. მe2 კ:f3 10. gf კc5 11. მg3 g6 12. f4 h5 13. ლf3 მd7 14. b4 კb6 15. კc3 ეh7 16. b5 ეc8 17. ეfe1 მc5 18. მf5! ლf8 19. dc bc 20. მd4 მe7 21. კc4 მe6 22. მ:e6 fe 23. კ:e6 ეc7 24. ეad1 კc5 25. კd4 კ:d4 26. ე:d4 g5 26. f5 მg6 27. ლb3 ეb7 28. ეb4 ე:b4 29. ლ:b4 მe5 30. ლb8+ მფe7 31. ლ:a7+ მფf6 32. ლ:h7 მf3+ 33. მფf1 მ:e1 34. მფ:e1 d5 35. ლf7+ ლ:f7 36. კ:f7 მფ:f7 37. e5. შავები დანებდნენ.

**თ გიორგაძე.**



მაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ა. დადიანი რამდენიმე ხანს პარიზში ცხოვრობდა. აქ იგი წარმატებით თამაშობდა ფრანგ მოჭადრაკეებთან, რისთვისაც საფრანგეთის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედ აღიარეს. 1874 წელს ახალგაზრდა იურისტი რუსეთის სამხედრო სამსახურში შედის. ეს სურათიც, რომელიც პირველად ქვეყნდება, სწორედ იმდროინდელია.



მეხიკოს ოლიმპიადისთვის სამზადისმა მსოფლიოს სპორტსმენთა ამ ფორუმში მონაწილეობის მსურველთა ძალები, განსაკუთრებით წელს, დაძაბა და ბევრი მაღალი შედეგებიც იშვა. რა თქმა უნდა, ამ მხრივ არც საბჭოთა სპორტსმენები ჩამორჩნენ. სვერდლოვსკელმა მოსწავლემ ლ. ჟარკოვამ ამას წინათ მოსკოვში გამართულ ტურნირში 100 მეტრი 11,3 წამში გაირბინა. 16 წლის გოგონებიდან მსოფლიოში მანამდე ასე სწრაფად არავის ურბენია. უფრო ადრე, ბრიანსკელმა ტექნიკოსმა ლ. სამოტიოსოვამ პოლონელი სპორტსმენის ი. კირშენშტეინის მსოფლიო რეკორდი (11,1) გაიმეორა. ახლა სამოტიოსოვა საბჭოთა გუნდის № 1 სპრინტერია.

სურათზე: მოსკოვში გამართული შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი. წინაა ლ. სამოტიოსოვა.

# ახალი ამბები

● **გეტებორგი, 9 სექტემბერი.** ქვემძიმე წონის ძალოსანთა შორის მსოფლიო რეკორდსმენმა ფინელმა კ. კანგასნიემიმ აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში დააგროვა 515 კგ (175+150+190). მძიმეწონოსანთა შორის ყველას აჯობა შვედმა უ. იუჰანსონმა — 517,5 კგ. მან მეოთხე, დამატებით ცდაზე დაამყარა ჩრდილოეთის ქვეყნების რეკორდი აჭიმვაში — 192,5 კგ.

● **ლუქსემბურგი,** 9 სექტემბერი. **ამ ქვეყნის მხოლოდ ოთხი სპორტსმენი გამოვა მეხიკოს ოლიმპიადაში. ლუქსემბურგელები იასპარეზებენ ცურვაში, სროლაში, ფარიკაობასა და სპორტულ სიარულში.**

● **ტოკიო, 9 სექტემბერი.** ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა შორის მსოფლიო რეკორდსმენმა ი. მიაკემ ვარჯიშის დროს ხელი დაიზიანა და იაპონიის დედაქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოხვდა. მკურნალ ექიმებს იმედი აქვთ, რომ სახელოვანი ძალოსანი მეხიკოს ასპარეზობამდე განიკურნება.

● **მონრეალი,** 9 სექტემბერი. **კანადის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს მონრეალისა და ვანკუვერის კანდიდატურებს, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ 1976 წლის ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადების მასპინძლობაზე.**

● **ჩიკაგო, 9 სექტემბერი.** ლოს-ანჟელესი, რომელიც 1932 წლის ოლიმპიური თამაშების სარბიელი იყო, კვლავ პრეტენზიას აცხადებს 1976 წლის თამაშების ორგანიზატორობაზე. ამ ქალაქის კანდიდატურამ აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტის სხდომის მონაწილეთა ხმის უმრავლესობა მიიღო.

● **ფალუნი,** 9 სექტემბერი. **50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ოლიმპიური ჩემპიონი ა. პამიჩი გამარჯვებული გამოვიდა შვეციის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში. მან 61 კილომეტრი გაირბინა 5:28.40-ში.**

● **სტოკჰოლმი, 9 სექტემბერი.** შვეციისა და საფრანგეთის მძლეოსანთა მატჩში შვეციის ახალი რეკორდი დაამყარა ა. ნილსონმა. მის მიერ ნატყორცნმა შუბმა 84,66 მ იფრინა. ეს შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა ამ სეზონში ევროპაში. ნილსონის თანამემამულემ ბ. პერსონმა 3 ათასი მეტრი წინაღობებით დაფარა 8.33,8-ში.

● **საუტ-ლეიკ-ტახო,** 9 სექტემბერი. **29 წლის ამერიკელმა ათლეტმა ბ. ტუმეიმ ამ მაღალმთიან (ზღვის დონიდან 2282 მ) ქალაქში გამართულ შეჯიბრებაში დააგროვა 8222 ქულა.**

● **ათენი, 9 სექტემბერი.** ბულგარელმა სპორტსმენებმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს XXVII მძლეოსნურ ბალკანიადაში. შეჯიბრებაში მათ გარდა მონაწილეობდნენ საბერძნეთის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების უძლიერესი სპორტსმენები.

● **მეხიკო,** 9 სექტემბერი. **მექსიკის პრეზიდენტი გუსტავო დიას ორდასი 13 სექტემბერს ოფიციალურად გახსნის ოლიმპიურ სოფელს. ამ დღეს აქ მოვლენ პირველი სტუმრები. როგორც თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, მომავალ ოთხშაბათიდან მწყობრში ჩადგება 88 საწვრთნელი ნაგებობა.**

● **მოსკოვი, 10 სექტემბერი.** მძლეოსნობაში მოსკოვის თასის გათამაშების მეორე დღეს ოლიმპიელებმა რამდენიმე მაღალი შედეგი აჩვენეს: ხარკოველმა ტექნიკოსმა ვ. ევერტმა მოიგო ქალების შუბის ტყორცნა — 55,20. ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენმა ლ. სამოტიოსოვამ 200 მეტრზე ასპარეზობაში 23,7 წამი აჩვენა. 80 მეტრზე თარჯრბენში უძლიერესი გახლდათ ოდესელი გ. ზარუბინა — 10,8. ლენინგრადელმა ი. ფელდმა ჭოკით 5 მეტრი სიმაღლე დაძლია. ე. გუშჩინის (მოსკოვის ოლქი) ბირთვი 19,14 მეტრზე დაეცა.

**რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.**

**ქ. თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზირებული ფეხბურთის სპორტული სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-69 სასწავლო წლისათვის.**

სკოლაში მიიღებიან 1955-58 წლებში დაბადებული ჭაბუკები. სწავლება იწარმოებს საშუალო სკოლიდან მოუწყვეტლივ.

სკოლაში შემომსვლელნი სამედიცინო შემოწმების შემდეგ ჩააბარებენ სპეციალურ სპორტულ ნორმატივებს.

განცხადებების ჩასაბარებლად და ყველა სხვა საჭირო ცნობებისათვის მიმართეთ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზირებულ ფეხბურთის სპორტულ სკოლას ა. წ. 15 სექტემბრამდე. სკოლის მისამართია: ქ. თბილისი, ორჯონიკიძის 52-ა. ტელ. 95-96-70, ლენინის სახ. სტადიონი.

**სკოლის დირექცია.**

საქართველოს სასტენდო სროლის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს სპორტის ოსტატ ტ. ულენტს მამის

**ვარდენ სამსონის ძე ულენტის**

გარდაცვალების გამო.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 00873